სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/136

ქ.თბილისი 03.07.2018წ

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-04/143 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ. ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე (იხ.დანართი) 2018 წლის 5 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე.
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის კანცელარიას;
5. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2018 წლის 11 ივლისს 11^{00} საათიდან; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს11 ივლისს.
6. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2018 წლის 11 ივლისის 14^{00} საათიდან 13 ივლისის 14^{00} საათამდე, მათი განხილვა – 13 ივლისის 14^{00} საათიდან;
7. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 13ივლისს;
8. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2018 წლის 14 ივლისამდე;
9. ჩარიცხული პირებისათვის სწავლა დაიწყება 2018-19 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს.

11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

საბუთების მიღება იწარმოებს ფაკულტეტებზე

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
მ.კოსტავას 69; სტუ-ის II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 202.
საკონტაქტო ტელეფონი - 551 31 64 68;

2. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
მ.კოსტავას 77 სტუ-ის VI კორპუსი, მე-3 სართული, A ბლოკი, ოთახი 303 ა,
საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;